SPECIFICS OF MYTHOPOEIC VIEW OF THE WORLD

სამყაროს მითოპოეტური ხედვის სპეციფიკა

Nugzar Abramishvili
Doctor of Philosophy, Professor of Gori State Teaching University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+995577151212, nabramishvili1@gmail.com,
https://orcid.org/0000-0001-5858-7906

Abstract. In the creation of myth from the skills of human consciousness is dominated by artistic imagination; mythical thinking is poetic-metaphorical thinking.

Both poetry and myth are artistic embodiment. Embodiment is always bringing out, manifesting the inner, hidden, basic general, when content becomes a form, when the form exists as much and for that, as it is the manifestation of the content, when the form and the content are completely coinciding. This is an artistic image that penetrates us through the influence on feelings, emotions and produces aesthetic pleasure.

Even in myth, the cognitive aspect is full of and Overlaid by the artistic, and the formative power of poetry coincides with the creative power of myth, but there is also a fundamental difference between them. In particular: If poetry (and art in general) is indifferent to the content of poetic creations, as well as to the reality of the story conveyed to the unreal, such indifference is unimaginable for a myth. For a mythical subject, the story conveyed in the myth is the highest reality.

Myth will reflect on the nature anthropomorphically, so emotions play a crucial role in building the mythical world. In emotional terms, nature acquires dramatic qualities.

Myth is characterised by syncretism, which manifests itself as follows:

a) In syncretic unity there are the forms of spiritual culture, such as religion, philosophy, art, morality, law ....

b) natural and supernatural, material and ideal, objective and subjective, artificial and natural are not separated from each other and are in syncretic unity.

Mythical gods and cultural heroes are archetypes for man of the mythical age as they transformed world chaos into cosmos, they established the rules of human activity and behaviour and thus ensured the viability of man, and society. Man living and acting like archetypes, is becoming the participant of maintaining the stability of the cosmos, and thus avoids the many calamities that is posed by the chaotic world.

Keywords: Mythos, Poetry, Artistic imagination, Anthropomorphism, Emotions, Archetype, Syncretism, Magic.

ნუგზარ აბრამიშვილი
ფილოსოფიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577151212, nabramishvili1@gmail.com,
https://orcid.org/0000-0001-5858-7906

აბსტრაქტი. ადამიანის ცნობიერების უნართაგან მითოსის ქმნადობაში დომინირებს მხატვრული წარმოსახვა, მითოსური აზროვნება პოეტურ-მეტაფორული აზროვნებაა.

როგორც პოეზია, ისე მითოსიც მხატვრულ განსახოვნებას წარმოადგენს. განსახოვნება ყოველთვის არის შინაგანის, დაფარულის, არსებითი ზოგადის გარეთ გამოტანა, გამომზეურება, როცა შინაარსი იქცევა ფორმად, როცა ფორმა არსებობს იმდენად და იმისთვის, რამდენადაც შინაარსის გამომვლენია, როცა ფორმა და შინაარსი მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. ესაა მხატვრული სახე, რომელიც განცდებზე, ემოციებზე ზემოქმედების გზით შემოდის ჩვენში და იწვევს ესთეტიკურ ტკბობას.

მითოსშიც შემეცნებითი ასპექტი მხატვრულითაა გაჯერებული და გადაფარული და პოეზიის მაფორმებელი ძალა ემთხვევა მითოსის შემქმნელ ძალას, მაგრამ მათ შორის არის არსებითი განსხვავებაც. კერძოდ: თუ პოეზია (და საერთოდ ხელოვნება) გულგრილია პოეტური ქმნილების შინაარსის, გადმოცემული ამბის რეალურობა არარეალურობის მიმართ, მითოსისთვის ასეთი გულგრილობა წარმოუდგენელია. მითოსური სუბიექტისთვის მითში გადმოცემული ამბავი წარმოადგენს უმაღლეს რეალობას.

მითოსი ბუნებას ანთროპომორფულად გაიაზრებს, ამიტომ მითოსური სამყაროს აგებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ ემოციები. ემოციურ მიმართებაში კი ბუნება დრამატულ თვისებებს იძენს.

მითოსისთვის დამახასიათებელია სინკრეტიზმი, რომელიც თავს იჩენს შემდეგი სახით:

ა) სინკრეტულ ერთიანობაში არიან სულიერი კულტურის ფორმები რელიგია, ფილოსოფია, ხელოვნება, ზნეობა, სამართალი...

ბ) ერთმანეთისგან არ არიან გამიჯნულნი და სინკრეტულ ერთიანობაში არიან ბუნებრივი და ზებუნებრივი, მატერიალური და იდეალური, ორიექტური და სუბიექტური, ხელოვნური და ბუნებრივი.

მითოსური ღმერთები და კულტურული გმირები წარმოადგენენ არქეტიპებს მითოსური ხანის ადამიანისთვის ვინაიდან მათ გარდაქმნეს სამყაროული ქაოსი კოსმოსად, მათ დაადგინეს ადამიანური საქმიანობის, ქცევის წესები და ამით უზრუნველყვეს ადამიანის, სოციუმის სიცოცხლისუნარიანობა. ადამიანი ცხოვრობს და მოქმედებს რა არქეტიპების მსგავსად, მონაწილე ხდება კოსმოსის მდგრადობის შენარჩუნების და ამით თავს აღწევს იმ უამრავ უბედურებას, რომელსაც მას უქადის ქაოსური სამყარო.

საკვანძო სიტყვები: მითოსი, პოეზია, მხატვრული წარმოსახვა, ანთროპომორფიზმი, ემოციები, არქეტიპი, სინკრეტიზმი, მაგია.

შესავალი. მსოფლმხედველობა ადამიანის ყოფიერების არსებით განსაზღვრულობას წარმოადგენს. ისტორიული განვითარების რომელ საფეხურზეც არ უნდა იყოს ადამიანი, აუცილებლობით დგება მსოფლმხედველობრივი კითხვების წინაშე და, თუ როგორ პასუხებს პოულობს ამ კითხვებზე, როგორია მისი მსოფლმხედველობითი კოორდინატები და ღირებულებათა სისტემა, ამით განისაზღვრება, როგორც ისტორიულ ეპოქათა, ისე ამა თუ იმ სოციუმის ცხოვრების თავისებურება.

სტატიაში მოვახდენ მსოფლმხედველობის თავდაპირველი ფორმის, მითოსის, სამყაროს მითოსური ხედვის სპეციფიკის თემატიზირებას, მის მიმართებას სულიერი კულტურის ისეთ ფორმებთან, როგორიცაა რელიგია და ხელოვნება.

რამდენადაც, ადამიანის ცნობიერების უნართაგან, მითოსის ქმნადობაში დომინირებს მხატვრული წარმოსახვა და ამით მას ბევრი რამ აქვს საერთო პოეზიასთან, სამყაროს პოეტურ ხედვასთან, შევეცდები, როგორც პოეტური, ისე მითოსური ხედვის სპეციფიკის წარმოჩენით, მათთვის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების ჩვენებას. ასევე განვიხილავ მითო-პოეტური ხედვისთვის დამახასიათებელ ისეთ არსებით ნიშანს, როგორიცაა ანთროპომორფიზმი, - ანთროპომორფული ხედვის ბუნებას და საფუძველს. ასევე - მითოსის სინკრეტულ ბუნებას, თუ რაში და როგორ იჩენს თავს ეს სინკრეტიზმი. შევეხები მაგიას და მითოსის მარეგულირებელ ფუნქციას პირველყოფილ სოციუმში.

მე-19, მე-20 საუკუნეების ცნობილ ანთროპოლოგთა, ეთნოლოგთა და კუტუროლოგთა შორის თითქმის არ დარჩენილა არავინ, ვისაც სერიოზული ნაშრომი არ მიეძღვნა მითოსისთვის. მათგან გამოვარჩევდი: ჯეიმს ფრეზერის „ოქროს რტოს“, ერნსტ კასირერის „რა არის ადამიანი“ ემილ დიურკემის „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“, ლევი-ბრიულის „პირველყოფილი აზროვნება“, ჯოზეფ კემბელის „ათასსახოვანი გმირი“, ალ. ლოსევის „მითის დიალექტიკა“, მირჩა ელიადეს „მითის ასპექტები“.

მეთოდები. მე გავეცანი შესავალში დასახელებულ ავტორთა შრომებს, რომელნიც ეხებიან ჩემთვის საინტერესო პრობლემას, მაგრამ მათთან ეს საკითხი არ არის თემატიზირებული. თემის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოვიყენე ისტორიულ-კრიტიკული და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

შედეგები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ როგორც მითოსი, ისე ხელოვნება ამოიზრდება ადამიანის ცნობიერების იმ უნარიდან, როგორიცაა მხატვრული წარმოსახვა.

შედარებითი ანალიზის გზით დადგინდა მითოსსა და ხელოვნებას შორის არსებული საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. რომ მითოსური ხანის ადამიანი, ეყრდნობა რა შინაგან და სოციალურ გამოცდილებას სამყაროს ყველა მოვლენას თავისი თავის ანალოგიურად გაიაზრებს, რის გამოც მითოსურ ხედვას მთლიანად განმსჭვალავს ემოციები. სამყაროსთან ემოციურ მიმართებაში კი საგნები ცოცხლდებიან, სულს იდგამენ. მითოსი ყველაფერში ხედავს პიროვნულ, სულიერ ძალას. ყველაფერი სამყაროში დამუხტულია ისეთი ადამიანური თვისებებით, როგორიცაა სიხარული, მწუხარება, ტკივილი, შიში, აღტაცება, სასოწარკვეთა. საგნები ადამიანისადმი ან სამოყვროდ არიან განწყობილნი ან სამტროდ. ამით მითოსი ჰგავს პოეზიას და გარკვეული აზრით არის მისი იგივეობრივი, მაგრამ განსხვავებაც დიდია.

მსჯელობა. მითოსი არქაული ეპოქის სულიერი კულტურის გაბატონებულ ფორმას და მსოფლმხედველობის პირველსახეს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც ადამიანში ცნობიერების ალმა იელვა, მან სამყარო და თავისი თავი ამ სამყაროში მითოსურად გაიგო, განიცადა და მითოსური პასუხები გასცა ისეთ მარადიულ და „წყეულ“ მსოფლმხედველობრივ კითხვებს, როგორიცაა: რას წარმოადგენს სამყარო მთლიანობაში და რა არის მისი არსებობის პირველსაფუძველი? რის ან ვისი წყალობით ეზიარება სამყარო წესრიგსა და ჰარმონიას? უკვდავია თუ არა ჩვენი სული და როგორია მარადისობასთან ზიარების შანსები? ვართ თუ არა თავისუფალნი ჩვენს ქცევა-მოქმედებებში, თუ სხვა არსებებივით აუცილებლობისა და ბედისწერის ძალები წარგვმართავენ? არსებობს თუ არა სამყაროს უზენაესი მიზეზი,თუ ბუნების საგნები და მათი წესრიგი წარმოადგენს უკანასკნელ ინსტანციას, რაზეც უნდა შევჩერდეთ ჩვენი

შემეცნების პროცეში? როგორია სამყაროს მთელში ჩვენი ადგილი და რა არის ჩვენი ცხოვრების ჭეშმარიტი საზრისი, სიცოცხლის მიზანი?...

მითოსის უპირველეს თავისებურებად უნდა დასახელდეს ის, რომ ადამიანის ცნობიერების უნართა შორის, მითოსის ქმნადობაში, დომინირებს მხატვრული წარმოსახვა. მითოსის დაბადება, ამავე დროს, იყო მხატვრული წარმოსახვის დაბადება. მისი საწყისი არაცნობიერ-პოეტურია. ხატოვანება და განსახოვნება, რაც ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი, მან მემკვიდრეობით მიიღო მითოსიდან. მითოსური აზროვნება პოეტურ მეტაფორული აზროვნებაა ისე, როგორც პოეზია (და საერთოდ ხელოვნება) მითოსიც მხატვრულ განსახოვნებას წარმოადგენს. განსახოვნება ყოველთვის არის დაფარული არსებითის გარეთ გამოტანა, როცა შინაგანი გამოდის სამზეოზე, როცა შინაარსი იქცევა ფორმად და ფორმა არსებობს იმდენად და იმისთვის, რამდენადაც შინაარსის გამომვლენია, როცა შინაარსი და ფორმა მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს.

პოეზიაში არსებითი ზოგადი განიჭვრიტება პოეტური ინტუიციის მეშვეობით. პოეტი უშუალოდ ჭვრეტს სახეს. როცა, მაგალითად, აპელესი ხატავს აქილევსს ან არწივს, იმას კი არ ცდილობს ნახატი ზედმიწევნით ჰგავდეს იმ ინდივიდუალურ საგანს, რომელსაც ბაძავს, არამედ ისე ბაძავს, რომ ნახატში გამოხატოს არწივობის, მეომრის ბუნება იმ არსებითი, მახასიათებელი ნიშნებით, რითაც არწივი არწივობს, აქილევსი კი მეომარია. მოყვანილი მაგალითი სახვითი ხელოვნებიდანაა, მაგრამ ის თავისუფლად შეიძლება გავავრცელოთ ხელოვნების სხვა ფორმებზეც პოეზია იქნება ეს, მუსიკა თუ ცეკვა. „ისინი ბოლოს და ბოლოს სხვა არაფერია თუ არა განსახოვნებანი, რადგან გამოხატავენ ადამიანის ხასიათს, განცდას და ქცევას“. (არისტოტელე, 1979: 3, 1447a) ან ჰორაციუსისა არ იყოს „მხატვრობა უტყვი პოეზიაა, პოეზია კი - მეტყველი მხატვრობა“. ამით პოეტური სახე რაღაცით ჰგავს ფილოსოფიურ ცნებას, რადგან ცნებაც მრავლის სინთეზია, მაგრამ ფილოსოფოსი ცნებებს ქმნის დიალექტიკის მეშვეობით, ის აზროვნებს, მსჯელობს, ერთმანეთს ადარებს კერძო წარმოდგენებს, აანალიზებს და შემდეგ სინთეზის გზით ადგენს ცნებებს.

სხვანაირია პოეტური სახის გენეზისი. პოეტი აღმოაჩენს მხატვრულ სახეს არა დიალექტიკის, არა მსჯელობის, არამედ ინტუიციის მეშვეობით. პოეტი უშუალოდ ჭვრეტს არსებით ზოგადს. არსებითი ზოგადი ობიექტურადაა მოცემული ინდივიდუალურ, კონკრეტულ საგნებში და საჭიროა მისი იქ დანახვა. ეს კი განსაკუთრებულ ინტუიციას, განსაკუთრებულ ჭვრეტის უნარს მოითხოვს და პოეტიც ისაა, ვინც განსაკუთრებული თვალითა და ყურითაა დაჯილდოებული. ასეთს კი გენიოსს უწოდებენ. არისტოტელეს მხატვრული შემოქმედების აუცილებელ პირობად ასეთი გენიალობა მიაჩნდა. „პოეტური შემოქმედება ან ბუნებისგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული კაცის საქმეა, ან - გადარეულის“. (არისტოტელე, 1979: 32, 1455a)

ლირიკაშიც კი არსებითი ზოგადის მხატვრულ განზოგადებასთან გვაქვს საქმე. თავის სულის პრიზმაში გარდატეხილ ინდივიდუალურ განცდებს პოეტი ანიჭებს ზოგადადამიანურ სახეს და მკითხველი ლირიკოსის განცდებში თავის განცდებს აღმოაჩენს. პოეტის ლექსში მეტყველებს არა ინდივიდუალური „მე“ პოეტისა, არამედ ზეინდივიდუალური ლირიკული „მე“.

პოეტი ან ხელოვანი მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს აღიქვამს განსაკუთრებულად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამოუცნობ - უცხო უნარით. მისი აღქმის უნარი გამოირჩევა განსაკუთრებული სისათუთით, სისწრაფით. თავისი მახვილი შეუმცდარი გრძნობების მეშვეობით იჭერს მცირეოდენ განსხვავებებს დამიმართებებს, იჭრება საგანთა სიღრმეში. პოეტს იბყრობს მოთხოვნილება გამოსახოს საგანი ისე, როგორც ის აღიქვამს ამ საგანს. ხმა ეძებს შესაფერის ინტონაციებს, მეტყველება პოულობს ფერადოვან გამოთქმებს, მოულოდნელ მიმოხვრებს, სტილი იქცევა სახიერად,

სიტყვები ხდებიან ემოციურნი, ექსპრესიულნი, რიტმულნი და ჰარმონიულნი, ლექსს ეუფლება ზომა და რითმა. ესაა ზეშთაგონება, შემოქმედი ძალის აღზევება. მხატვრულ სახედ გარდაქმნილი იდეები ჭეშმარიტებას ანათებენ და ჩვენს განცდებზე, ემოციებზე ზემოქმედების გზით შემოდიან ჩვენში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სამყაროსთან მითოსური მიმართება ისეთივეა, როგორც პოეტური - „მითოსშიც“ შემეცნებითი ასპექტი მხატვრულითაა გაჯერებული და გადაფარული და პოეზიის მაფორმებელი ძალა მითოსის შემქმნელ ძალას უტოლდება“ (კასირერი, 1983: 126). მათ შორის არის არსებითი განსხვავება. როცა ჩვენ ვეცნობით სოფოკლეს ოიდიპოსის, შექსპირის ოტელოს, ვაჟას ალუდა ქეთელაურის ტრაგიკულ ბედს, ან გალაკტიონის „მერი“-ში გადმოცემულ ამბავს, გულგრილნი ვართ იმის მიმართ, ეს აბები ნამდვილად მოხდა თუ არა. მითოსისთვის ასეთი გულგრილობა წარმოუდგენელია. მითოსი თავისი საგნის, გადმოცემული ამბის რეალურობის რწმენას ეფუძნება. ამის გარეშე ის მითოსი კი არა მხატვრული ზეპირსიტყვიერება იქნებოდა. მითოსური ცნობიერებისთვის მითი არ არის ფიქცია, მოთამაშე ფანტაზიის ნაყოფი. მითოსური სუბიექტისთვის მითი, მთელი თავისი კონკრეტულობით, წარმოადგენს უმაღლეს, მაქსიმალურად ინტენსიურ რეალობას. ის გამონაგონი კი არა, ყველაზე უფრო აშკარა და ნამდვილი სინამდვილეა. მასში არ შეიძლება რაიმე იყოს შემთხვევითი, ზედმეტი თვითნებური, გამოგონილი ან ფანტასტიკური. ეს არის ნამდვილზე ნამდვილი რეალობა. როცა სანადიროდ მიმავალი მითოსური ხანის ადამიანი, საფრთხისგან დაცვის მიზნით, ყელზე იკიდებს მტაცებელი ცხოველის კბილებისგან დამზადებულ ავგაროზს, უმეცრება იქნება იმის მტკიცება, რომ მისთვის ეს ჩვეულება უსარგებლო, ყალბი გამონაგონია. მითს ადამიანის ემოციებში, განცდებსა და აფექტებში აქვს ფესვი გადგმული. ის ყოველთვის არის ამა თუ იმ სასიცოცხლო სწრაფვათა და მოთხოვნილებათა გამოხატულება. მითის ქმნადობაში ნაკლებად მონაწილეობს აზროვნება. როცა ველური, ბრძოლის წინ წითლად იღებავს სახეს ან წითლად ღებავს მიცვალებულს, ამ დროს მოქმედებს არა აზროვნება, არამედ უფრო ინტენსიური, აფექტური ცნობიერება, რომელიც შეიძლება შევადაროთ კორიდას ხარის მდგომარეობას, რომელიც ცოფდება წითელი ფერის დანახვაზე.

მითი პოეზიის მსგავსად შორდება, წყდება საგნობრივ რეალობას, მაგრამ ის არ ხდება გულგრილი, პოეზიის მსგავსად, ამ რეალობის მიმართ. მითი ისეთივე რეალობას წარმოადგენს, როგორც რეალური საგნები, იმ განსხვავებით, რომ ის უფრო მეტად რეალური, შეუდარებლად ინტენსიური, უფრო ძლიერი და სხეულებრივია. ის რასაც განეშორება და სწყდება მითი, ესაა რეალურ საგანთა საზრისი. მითში საგნები რჩებიან იმავე საგნებად ოღონდ იძენენ სრულიად სხვა საზრისს. მას უკვე უცქერენ სრულიად სხვა თვალით. ადამიანის თმა ან მტაცებლის კბილი ამულეტში, თავისი საგნობრიობით არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი თმისა და კბილისგან, მაგრამ თმა და კბილი ამულეტში იქცევა სხვა რეალობის სიმბოლოდ, სხვა სულიერი ძალის მატარებლად. იძენს ახალ საზრისს.

დიურკემის თანახმად, მითოსის არსს ვერ გავიგებთ, თუ მის წყაროს მხოლოდ ბუნების მოვლენებში დავინახავთ. მითოსური მსოფლხედვის პირველწყაროს წარმოადგენს არა მატო ბუნება, არამედ საზოგადოებაც. „მითოსი ბუნების ყოფიერებას გამოთქვამს სოციალური ყოფიერების ენით. მითოსში ბუნება ასახავს სოციალურ არსებობას თავისი ძირითადი თვისებებით, თავისი ორგანიზაციით და სტრუქტურით“ (Дюркгейм, 2018: 127).

ეყრდნობა რა ძირითადად შინაგან და სოციალურ გამოცდილებას ადამიანი, რომელსაც ჯერ ვერ განუსხვავებია თავისი თავი ბუნების მოვლენებისგან, ბუნებას ანთროპომორფულად გაიაზრებს. ამიტომ საგანთა ის თვისებები, რაზედაც მითოსი მოგვითხრობს არა ობიექტური, არამედ ადამიანური თვისებებია. „მითოსურ ხედვაში

ყოველივე ისეთი ადამიანური გრძნობებითაა დამუხტული, როგორიცაა სიხარული თუ ტკივილი, შიში, მღელვარება, აღტყინება და სასოწარკვეთა, ყოველი საგანი თუ მოვლენა ადამიანის მიმართ ან სამოყვროდ არის განწყობილი, ან სამტროდ, ან ახლობელია ან ავისმომასწავლებელი, ან მაცდურია და მომნუსხველი, ან საზარელი და შიშისმომგვრელი“ (კასირერი, 1983: 129).

თანამედროვე ადამიანი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც დეგრადირებული მითოსური არსება. კულტურათა ისტორიული ცვალებადობის პროცესში მითოსი იცვლის ფორმებს, მაგრამ არ ქრება, არაცნობიერ მდგომარეობაში გადადის და საკმარისია ძლიერმა გრძნობებმა - აღტაცებამ, სიხარულმა, მრისხანებამ, მწუხარებამ - შეგვიპყროს, სამყაროსადმი მითოსური დამოკიდებულება იღვიძებს და საგნები და მოვლენები ცოცხლდებიან, სულს იდგამენ და ადამიანურ თვისებებს იძენენ. როცა კახელი გლეხი მწიფობაში შესულ ვენახს ეფერება ან მოულოდნელად მოსულ სეტყვას გამწარებული და სასოწარკვეთილი აგინებს ან, როცა ერთხელ მთაში მწყემსებთან ასულმა ჩემი ზურგჩანთიდან პურების ამოღება დავიწყე და ეს პურები მაგიდაზე პირქვე დავაწყე, როგორი მოწიწებით მივიდა ერთი მწყემსი პურებთან და გადმოარუნა. როგორც კახელ გლეხში, ისე მწყემსში აღნიშნულ შემთხვევებში გაიღვიძა ამ საგნებისადმი მითოსურმა მიმართებამ. საქმე ისაა, რომ მითოსური სამყაროს აგებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ ემოციები. ემოციურ მიმართებაში სინამდვილე ტრაგიკულ თვისებებს იძენს. ის შეიძლება იყოს მომხიბლავი, მშვიდი, მოსაწყენი ან შიშის მომგვრელი, მაშინ როცა ჩვენს გარეშე ის ისეთია, როგორიც ის არის. შესანიშნავად უთქვამს სტოელ ეპიქტეტეს: „საგნები კი არ გვაღელვებენ ჩვენ, არამედ ჩვენი წარმოდგენები საგნებზე“.

თუ სინამდვილის მეცნიერული შემეცნების პროცესში ძირითადად კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის მეთოდები გამოიყენება და საზღვრები მცენარეებსა, ცხოველებსა და ადამიანებს შორის მკაცრადაა გამიჯნული მითოსი მეტამორფიზმით ხასიათდება. საგანთა და მოვლენათა შორის საზღვრები მქრქალია და მუდამ ცვალებადი. არსებულთაგან არაფერია ისეთი, რასაც უცვლელი ფორმა ექნებოდა. ნებისმიერი საგანი შეიძლება გარდაიქმნეს ნებისმიერ საგნად. არ არსებობს მათ შორის გადაულახავი საზღვარი.

ადამიანი და კოსმოსი თანაზიარნი, ურთიერთგაიგივებულნი არიან, რასაც ლევი ბრიული „პარტიციპაციის კანონს“ უწოდებს (Леви-Брюл, 2020: 5). ამ რწმენას ეფუძნება მითოსური მსოფლმხედველობისთვის დამახასიათებელი ისეთი არსებითი ნიშანი, როგორიცაა მაგია. მაგიის განმსაზღვრელია ორი პრინციპი: პირველი გვეუბნება - მსგავსი წარმოშობს მსგავსს ანუ შედეგი მიზეზის ანალოგიურია; მეორე პრინციპის თანახმად საგნები, რომლებიც ერთხელ მაინც ყოფილან ერთმანეთთან შეხებაში, ამ უშუალო კონტაქტის გაწყვეტის შემდეგაც განაგრძობენ ერთმანეთზე ზემოქმედებას. პირველი პრინციპის საფუძველზე მაგს გამოაქვს დასკვნა, რომ მას შეუძლია გამოიწვიოს ნებისმიერი სასურველი ქმედება მისადმი მიბაძვის გზით, ხოლო მეორე პრინციპის საფუძველზე ის ასკვნის, რომ საგანზე მაგიური ზემოქმედების მეშვეობით ზემოქმედებას მოახდენს იმაზეც, რომელიც ამ საგანთან ოდესღაც შეხებაში იმყოფებოდა.

მაგიის პირველ სახეს ჯეიმს ფრეზერი უწოდებს „ჰომეოპათიურს“, ხოლო მეორეს - „კონტაგიოზურს“ (Фрезер, 2001: 17). ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. სიმპათიის კანონს, რომლის მიხედვითაც ყველა საგანსა და მოვლენას შორის არსებობს იდუმალი კავშირი და ისინი ურთიერთზეგავლენას განიცდიან. ამ კანონის თანახმად ბუნებრივი კავშირი არსებობს, ჩვენი აზრით, ერთმანეთის მიმართ სრულიად უცხო საგნებსა და მოვლენებს შორის, რის ძალითაც, რასაც ერთი საგანი აკეთებს ან განიცდის, მეორემაც გარდაუვლად უნდა გააკეთოს და განიცადოს. ამნაირი კავშირია ადამიანსა და მის გამოსახულებას შორის. ამავე მიმართებაშია ადამიანი ყველაფერ იმასთან, რაც ერთ დროს მისი ნაწილი იყო - მოჭრილ თმასთან ან ფრჩხილთან; ასეთივე მნიშვნელობისაა

ტანსაცმელიც, რადგან პატრონთან მჭიდრო კავშირის გამო ის ამ პიროვნების მუხტს იძენს. „აქედან მომდინარეობს გავრცელებული პრაქტიკა: თოჯინას ჯერ მტრის სახელით ნათლავენ, მერე კი სასტიკად ეპყრობიან, ან წვავენ მტრის თმას ან მისი სამოსიდან ამოძრობილ ძაფს. განუყოფელი კავშირი არსებობს საგანსა ან ადამიანსა და მის სახელს შორისაც. მტრის სახელი რომ ტყვიის ფირფიტაზე ამოგეტვიფრა, შემდეგ ეს ფირფიტა გაგეგმირა და მიწაში ჩაგეფლო, ეს საკმარისი იყო მტრისთვის ზიანის მისაყენებლად“ (გათრი, 1983: 30). ჯადოქარი დარწმუნებულია, რომ წესები, რომლებსაც ის იყენებს ჯადოქრობისას ვრცელდება არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ მთელ ბუნებაზე, მათი ზემოქმედების ძალას არა აქვს საზღვრები.

ათასწლეულების წინ ამ პრინციპებს იყენებდნენ ინდოეთის, ბაბილონის, ეგვიპტის, საბერძნეთისა და რომის ჯადოქრები, ამ პრინციპებით მოქმედებენ თანამედროვე ავსტრალიისა და აფრიკის ჯადოქრები.

მითოსური ცნობიერებისთვის ბუნება წარმოადგენს სიცოცხლის ფორმათა განუყოფელ ერთიანობას. მასში ადამიანს არ უკავია განსაკუთრებული ადგილი. ისიც ბუნების შვილია და არაფრით არ დგას ამ ერთიანობის რომელიმე წევრზე უფრო მაღლა. სიცოცხლე ერთნაირი რელიგიური ღირებულების მატარებელია ყველა ფორმაში. ადამიანები და ცხოველები, ცხოველები და მცენარეები ერთ დონეზე განიხილებიან. იდეა ადამიანის განსაკუთრებულობისა ღვთის ხატებისა და მსგავსებისა გვიანდელია და მონოთეისტურ რელიგიებს ეკუთვნის.

მითოსური მსოფლხედვის არსებით ნიშნად უნდა ჩაითვალოს სინკრეტიზმი, რომელიც შემდეგი სახით იჩენს თავს:

1) მითოსი ის მშობლიური წიაღია, სადაც ჩანასახის სახით არსებობენ სულიერი კულტურის ფორმები: რელიგია, ფილოსოფია, ხელოვნება, მორალი, სამართალი და ა.შ. ისინი ჯერ არ არიან ერთმანეთისგან გამიჯნულნი, გამოკვეთილი ფორმის მქონენი, ერთმანეთთან ჰომოგენურ ერთიანობაში იმყოფებიან. (მათი დიფერენციაცია და სპეციფიკაცია მოხდა მოგვიანებით);

2) ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ბუნებრივი და ზებუნებრივი. იდეა ორი, ბუნებრივი და ზებუნებრივი სამყაროს არსებობის შესახებ, რომ მათ შორის პრინციპული განსხვავება და გადაულახავი უფსკრულია გვიანდელია და რელიგიური მსოფლმხედველობის მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. მითოსური ცნობიერებისთვის სამყარო ერთია და ერთიანი. ყველაფერი ბუნებრივი ამავე დროს ზებუნებრივია, ხოლო ზებუნებრივი - ბუნებრივი. მაგალითად ბერძენთა ღმერთები აქ, ამ სამყაროში ,ოლიმპოს მთაზე ცხოვრობენ, ზევსი ხან ჭექა-ქუხილის სახით ევლინება ადამიანებს, ხან თეთრი ხარის, ხან გედის, ხან კი წვიმის სახით. პოსეიდონი პერსონიფიცირებული მღელვარე ზღვაა, აფროდიტე - არაჩვეულებრივი გრძნობის სახით გამოვლენილი სიყვარული, აპოლონი - სინათლე და წესრიგია და ა.შ. ღმერთი ღვთაებრივი სუბიექტი კი არ არის (როგორც ეს მონოთეისტურ რელიგიებშია), რომელსაც მიეწერება ისეთი პრედიკატები, როგორიცაა ჭეშმარიტება, სიკეთე, სიყვარული..., არამედ ბუნებისა და ცხოვრების მოვლენებით გამოწვეული ღრმა შთაბეჭდილება ან შიში ათქმევინებდა მათ ამ მოვლენების შესახებ: „ეს ღმერთია“, ის „ღმერთია“. თუ ქრისტიანი იტყვის „ღმერთი სიყვარულია“, წარმართისთვის „სიყვარულია ღმერთი“. როცა წარმართი ამბობს: სიყვარული, მეგობრობა, სამართლიანობა, მშვენიერება.... ღმერთიაო, აქ ის იგულისხმება, რომ ის ადამიანურზე მეტია, წარმავალობას არ ემორჩილება, მარადიულია, ჩვეულებრივზე აღმატებულია (გათრი, 1983: 28).

3) არ არის გამიჯნული და სინკრეტულ ერთიანობაში არიან ობიექტური და სუბიექტური, ხელოვნური და რეალური... მაგალითად სიზმარი, როგორც სუბიექტური ფენომენი მითოსური ადამიანისთვის ისეთივე რეალობას გვაუწყებს, როგორსაც - სიფხიზლეში გრძნობის ორგანოები. სიზმარი, მითოსური ადამიანისთვის, სხვა არაფერია

თუ არა სულის გამოსვლა სხეულიდან, სული დამოგზაურობს სხვადასხვა მხარეში, ხვდება ადამიანებს, მიცვალებულთა სულებს და ა.შ. ადამიანი ერთმანეთისგან არ განასხვავებს სახელსა და საგანს. სახელი ისეთივე რეალობის მქონეა, როგორც ამ სახელით აღნიშნული ობიექტი. სახელი ხელოვნური, იდეალური ასოციაციის შედეგი კი არ არის, არამედ საგანთა მოუცილებელ ნაწილს წარმოადგენს და რეალური, მატერიალური, დაურღვეველი ძაფებითაა დაკავშირებული საგანთან და თან ისე, რომ სახელზე მაგიური ზემოქმედებით შეიძლება ამ სახელის მატარებელზეც ზემოქმედება.

არქაული ხანის ადამიანისთვის მისი სახელი ისეთივე ნაწილია მისი სხეულისა, როგორც კიდური ან თვალები და მიაჩნია, რომ სახელის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას შეუძლია ისეთივე ზიანი მიაყენოს მის სხეულს, როგორც იარაღით მიყენებულ ჭრილობას. ადამიანი თვლის რა თავის სახელს თავის არსებით ნაწილად, მისადმი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს. როგორც ჯეიმს ფრეზერი გადმოგვცემს თავის „ოქროს რტოში“ „ავსტრალიელი აბორიგენები თავის სახელებს გულმოდგინედ ფარავენ იმის შიშით, რომ მტერმა შეიძლება შენი სახელი ბოროტად გამოიყენოს და მაგიური ხერხებით ზიანი მოგაყენოს. ყოველ მამაკაცს, ქალს თუ ბავშვს ჩვეულებრივი სახელის გარდა აქვს საიდუმლო, წმინდა სახელი, რომელსაც დაბადებისთანავე არქმევს უხუცესთა საბჭო და ამ სახელის გამჟღავნება უცხო ტომის წარმომადგენლის გასაგონად დიდ მკრეხელობად ითვლება (Фрезер, 2001: 179).

ცივილიზაციის შედარებით მაღალ საფეხურზე, ძველ ეგვიფტეშიც, ყოველ ეგვიფტელს ჰქონდა ორი სახელი-დიდი და პატარა. პატარა სახელი ყველასთვის ცნობილი იყო, ხოლო რაც შეეხება დიდ, ანუ ჭეშმარიტ სახელს, ეგვიფტელები საიდუმლოდ ფარავდნენ. ამავე რწმენის გამოძახილია შუა საუკუნეების ევროპაში (განსაკუთრებით ესპანეთსა და პორტუგალიაში) ახალდაბადებულისთვის მრავალი სახელის დარქმევა იმ მოტივით, რომ ბოროტ ძალებს არ მიეგნოთ ნამდვილი სახელისთვის და მასზე ზემოქმედებით ზიანი არ მიეყენებინათ ამ სახელის მატარებლისთვის.

ერთია მითოსი, როგორც სამყაროს ხედვის წესი და მეორეა მითოსი წარმოდგენილი კონკრეტული შინაარსით, სადაც მოთხრობილია ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გარდაიქმნა საყაროული ქაოსი კოსმოსად. ბუნების დონეზე - როგორ დაიბადნენ ცის მნათობები, ზღვები, მდინარეები, მცენარეები, ცხოველები. ადამიანის დონეზე - ადამიანის დაბადება, ადათ-წესების, ტრადიციების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების (მაგალითად ოჯახის ინსტიტუტის), სამეურნეო საწმიანობის (მაგ. პრომეთეს მითი) დაბადება.

სამყაროული ქაოსის კოსმოსად გარდაქმნას წარმართავენ განსაკუთრებული პერსონაჟები ღმერთები და კულტურული გმირები. აქ არ შეიძლება არ შევეხოთ დროის მითოსურ გაგებას. მითოსში მოქმედებს ორი ტიპის დრო - საკრალური და პროფანული. საკრალური დრო ეს არის განსაკუთრებული, წმინდა დრო, როცა ცხოვრობენ და მოქმედებენ ღმერთები და კულტურული გმირები და როცა ისინი გარდაქმნიან სამყაროულ ქაოსს კოსმოსად. მეორეა პროფანული დრო. ეს არის ჩვეულებრივი ყოველდღიურობა, რომელშიც ცხოვრობენ ჩვეულებრივი ადამიანები და რომელთათვისაც საკრალურ დროში მოქმედი ღმერთები და კულტურული გმირები წარმოადგენენ არქეტიპებს ანუ ისინი არიან თავდაპირველნი, მთავარნი, მისაბაძად სანიმუშონი, ადამიანური საქმიანობის, ქცევის ეტალონები. პროფანულ დროში მცხოვრები ადამიანი თავის ყოველგვარ საქმიანობაში ორიენტირებულია არქეტიპებით და ისინი წარმოადგენენ მოწიწებისა და თაყვანისცემის ობიექტებს. ადამიანი მიტომ სცემს თაყვანს არქეტიპებს და მიტომ არის მათ მიმართ მოწიწებით განმსჭვალული, რომ მათ, არქეტიპებმა გარდაქმნეს ქაოსი კოსმოსად. ადამიანს კი შეუძლია იცხოვროს მხოლოდ მოწესრიგებულ სამყაროში. ღმერთებმა და კულტურულმა გმირებმა თავიანთი ქცევით,

საქმიანობით დაადგინეს ადამიანური ქცევის, საქმიანობის წესები და ნორმები, მათ გაკვალეს სწორი ცხოვრების გზა და ამით უზრუნველყვეს ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა. ადამიანი ცხოვრობს და მოქმედებს რა არქეტიპების მსგავსად, ის ერთგვარად მონაწილე ხდება კოსმოსის მდგრადობის შენარჩუნებაში და ამით თავს აღწევს იმ უამრავ უბედურებას, რასაც მას უქადის ქაოსური სამყარო.

დასკვნები. მითები არეგულირებენ ადამიანთა ქცევებს, საქმიანობას და წარმოადგენენ სოციუმის ნორმალური ფუნქციონირების პირობას. ადამიანის სოციალიზაციის პროცესში ხდება მითების შეთვისება, ადათების, რიტუალების, წეს-ჩვეულებათა მეშვეობით სოციუმის ყოველ წევრს უყალიბდება შესატყვისი მსოფლმხედველობა. მითის ფუნქციას არ შეადგენს ობიექტური რეალობის ასახვა ჭეშმარიტების მნიშვნელობით, მითები აყალიბებენ მსოფლმხედველობრივი კოორდინატების, ღირებულებების ერთიან სისტემას, რის წყალობითაც ადამიანთა შორის მიიღწევა ერთსულოვნება და სოლიდარობა. სწორედ სოლიდარობა და ერთსულოვნებაა ადამიანთა შორის მშვიდობიანი და წარმატებული ცხოვრების წარმმართველი. მითები ადუღაბებენ საზოგადოებას. რომ ვიცხოვროთ, უნდა გვქონდეს ღირებულებათა ერთიანი სისტემა და უნდა ვიყურებოდეთ ერთი მიმართულებით.

თუ პოეზია (საერთოდ ხელოვნება) გულგრილია პოეტურ ქმნილებაში ასახული თუ გადმოცემული ამბის რეალურობისადმი, მითოსური ხანის ადამიანისთვის მითოსური ამბავი უმაღლეს რეალობას წარმოადგენს. ასევე, სინკრეტულია რა თავისი ბუნებით მითოსი, ერთმანეთისგან ვერ მიჯნავს ბუნებრივსა და ღვთაებრივს: ბუნებრივი - ღვთაებრივია და ღვთაებრივი - ბუნებრივი; ერთმანეთისგან არაა გამიჯნული სუბიექტური და ობიექტური, ხელოვნური და ბუნებრივი. სინკრეტულ ერთიანობაში იმყოფებიან სულიერი კულტურის ფორმები.

გამოყენებული ლიტერატურა:

არისტოტელე. (1979). *პოეტიკა.* თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

გათრი, უ. (1983). *ბერძენი ფილოსოფოსები.* თბილისი: გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო".

კასირერი, ე. (1983). *რა არის ადამიანი.* თბილისი: გამომცემლობა "განათლება".

Дюркгейм, Е. (2018). *Элементарные формы религиозной жизни.* Москва: издательство „Дело“.

Леви-Брюл, Л. (2020). *Первобытное мишление.* Москва: издательство "Академический проект“.

Фрезер, Д. (2001). *Золотая ветвь.* Москва: издателство „Книжный клуб“.

REFERENCES:

arist'ot'ele. (1979). *p'oet'ik'a [Poetics].* Tbilisi: Publishing House „Ganatleba“.

gatri, u. (1983). *berdzeni pilosoposebi [the Greek philosophers].* Tbilisi: Publishing House "Sabchota sakartvelo".

k'asireri, e. (1983). *ra aris adamiani [What is the Human].* Tbilisi: Publishing House "Ganatleba".

Djurkgejm, E. (2018). *Jelementarnye formy religioznoj zhizni [The Elementary Forms of the Religious Life].* Moscow: Publishing House „Delo“.

Levi-Brjul, L. (2020). *Pervobytnoe mishlenie [Primitive Mentality].* Moscow: Publishing House “Akademicheskij proekt”.

Frezer, D. (2001). *Zolotaja vetv' [The Golden Bough].* Moscow: Publishing House „Knizhnyj klub“.